საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის ნოემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის ნოემბრის თვეში.

საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“

2023 წლის 1 ნოემბერს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება და მუხლი 1 (კანონის მოქმედების სფერო); მუხლი2 (ტერმინათა განმარტება); „თავი IV[1] (სტაჟიორის შრომის ანაზღაურება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 010320000.05.001.021084

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2023 წლის 1 ნოემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და მუხლი 82 (გადახდისაგან გათავისუფლება); 101 მუხლი (ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.021086

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

2023 წლის 1 ნოემბერს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო (შემდგომ – საპენსიო სააგენტო) ამ კანონის მიზნებისთვის არ არის კრედიტორი. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაწილის საკუთრებაში არსებულ საპენსიო აქტივებთან მიმართებით კრედიტორი/კრედიტორები არის/არიან შესაბამისი მონაწილე ან მონაწილის მემკვიდრე/მემკვიდრეები. ამ კანონის შესაბამისად ლიკვიდატორის მიმართვის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო ვალდებულია აღნიშნულ პირს მიაწოდოს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია შესაბამისი დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან – შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ მონაცემებთან შედარების შედეგად მიღებული ინფორმაცია „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 240000000.05.001.021090

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

2023 წლის 1 ნოემბერს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-2 მუხლი (აღსრულების ქვემდებარე აქტები); მე-17 მუხლი (აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 070000000.05.001.021087

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“

2023 წლის 1 ნოემბერს დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 1 (კანონის მოქმედების სფერო); მუხლი 2 (ტერმითა განმარტება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 280060000.05.001.021089

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტისა, მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, მე-7 პუნქტისა, მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კანონის მე-8 მუხლის მე-4

პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა, მე-16 პუნქტით განსაზღვრული კანონის 151 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, 28-ე პუნქტის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებისა, 30-ე პუნქტისა, 34-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, 36-ე პუნქტით განსაზღვრული კანონის 341 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2. კანონის პირველი მუხლის 28-ე პუნქტის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტები, 34-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, 36-ე პუნქტით განსაზღვრული კანონის 341 მუხლის მე-2 პუნქტი და ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 3 იანვრიდან.

3. კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-7 პუნქტი და მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 ივნისიდან.

4. კანონის პირველი მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული კანონის 15^1 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 სექტემბრიდან.

5. კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი და 30-ე პუნქტი ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

2023 წლის 1 ნოემბერს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ქ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე, აგრეთვე საპენსიო სააგენტოს მიერ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სპეციალიზებული დეპოზიტარის (მათ შორის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“

საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ სპეციალიზებულ დეპოზიტართან დაკავშირებულ შემთხვევაში), აქტივების მმართველი კომპანიისა და საპენსიო სააგენტოს ანგარიშგების დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად აუდიტორული ფირმის მომსახურებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე;".

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040090000.05.001.021088

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ"

2023 წლის 1 ნოემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 52^3 მუხლი (საპენსიო სააგენტოს ზედამხედველობა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.04.001.018076

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ"

2023 წლის 1 ნოემბერს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 12 (სრულწლოვანი პირისათვის

საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება); მუხლი 17 (საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010110000.04.001.018077

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის მე-3–მე-5 პუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის პირველი–მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტები და მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 მაისიდან.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

2023 წლის 16 ნოემბერს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და 2 მუხლი (ტერმინთა განმარტება); 5 მუხლი (ეროვნული სასწავლო გეგმა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010110000.04.001.018077

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-2 მუხლის „ჩ[3]“ ქვეპუნქტისა, მე-2, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტებისა, მე-8 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის 48[1] მუხლის

პირველი პუნქტის „თ[4]“ ქვეპუნქტისა, „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის 48[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-11 პუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-2 მუხლის „Ბ[3]“ ქვეპუნქტი, მე-2, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტები, მე-8 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის 48[1] მუხლის პირველი პუნქტის „თ[4]“ ქვეპუნქტი, „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის 48[1] მუხლის მე-6 პუნქტი და მე-11 პუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2023 წლის 16 ნოემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 77[1] (დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამტება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.102003

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ფორმის და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №11/ნ ბრძანება

2023 წლის 2 ნოემბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №27/ნ ბრძანებით სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ფორმის და

მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №11/ნ ბრძანების (დამტკიცებულ „სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის გაცემის წესში“ (დანართი №2) შეტანილ იქნა ცვლილება და ამ წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016027

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №09/ნ

2023 წლის 2 ნოემბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №29/ნ ბრძანებით „სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ან/და საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართულ პირთათვის საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის დამტკიცებულ „სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ან/და საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართულ პირთათვის საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 2 (ტერმინთა განმარტება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით,

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016029

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №298/04

2023 წლის 3 ნოემბერს დამტკიცდა მნიშვნელოვანი სისტემის ქვეკატეგორიების განსაზღვრისა და საგადახდო სისტემისთვის მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესი.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016780

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №13/ნ

2023 წლის 2 ნოემბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №26/ნ ბრძანებით „მძღოლის კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის (CPC) და მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათის ფორმების და მათი გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №13/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება და „მძღოლის კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის (CPC), მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათის გაცემის წესში“ (დანართი №3) შეტანილ იქნა ცვლილება და ამ წესის მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ[1]) სერტიფიკატის/ბარათის მფლობელის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის შესაბამისი კატეგორიის დამატების (C+E და D ან D+E) შემთხვევაში.“;

ბ) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.“.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016026

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №40 ბრძანება

2023 წლის 3 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №40 ბრძანებით „გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 5 ივლისის №09 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

ა) წესის პირველ მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. სააგენტო უფლებამოსილია, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, დაუშვას ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამონაკლისი.“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310020000.55.067.016166

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №10/ნ

2023 წლის 2 ნოემბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №28/ნ ბრძანებით „სახიფათო ტვირთების საგზაო გადაზიდვის უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტის მომზადების მოწმობის ფორმის და მისი გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №10/ნ დამტკიცებულ „სახიფათო ტვირთების საგზაო გადაზიდვის უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტის მომზადების მოწმობის გაცემის წესში“ (დანართი №2) შეტანილ იქნა ცვლილება და ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016028

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №413 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა №996 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 13 (ელექტრონული საჩივარი); მუხლი 15^1 (საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების

ელექტრონული ფორმით გაგზავნის და საჯაროდ გავრცელების წესი) და ა.შ. დატკიცდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნულიი ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017753

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №412 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 33 (ელექტრონული საჩივარი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნულიი ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017752

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №414 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის 22^1 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (სავარაუდი დარიცხვა) ჩამოყალბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნულიი ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017754

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 15-ე დღეს.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №439 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 3 (გადსახადის გადამხდელად აღრიცხვის წესი); მუხლი 11 (ელექტრონული რეგისტრაცია) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნულიი ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017762

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 დეკემბრიდან.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №438 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 7 (გადასახადის გადამახდელთა საქმიანობის აქტივობის მაჩვენებელი სტატუსი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნულიი ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017761

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 28 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №446 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 48^1 (ანაზღაურების გადახდა საქონლის მიწოდებამდე /მომსახურების გაწევამდე და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედქაციით.

ზემოაღნიშნულიი ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017764

ბრძანება, პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გარდა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანების პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან და მათი მოქმედება არ გავრცელდება 2024 წლის პირველ იანვრამდე დადებულ ხელშეკრულებებზე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 29 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №451 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 73^2 (დღგ-ის პროპორციული ჩათვლის მიღების წესი).

ზემოაღნიშნულიი ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200900000.22.033.017765

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-25/ნ

2023 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №81/ნ ბრძანებით „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისადა სოციალური დაცვის მინისტრის №01-25/M ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული №1 დანართის („შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები“), კერძოდ, მუხლი 9 (სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის ვალდებულებები) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.017100

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-14

2023 წლის 7 ნოემბერს დამტკიცდა ,,ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი“ (დანართი №1) .

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 260000000.64.076.016130

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №91

2023 წლის 7 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №942 ბრძანებით „საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 შეტანილ იქნა ცვლილება და დანართის №1-ის მუხლი 5 (მიკროსქემა) და ა.შ. დამტკიცდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010130000.22.027.017430

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

LCC
Law Firm

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №313/04

2023 წლის 10 ნოემბერს დამტკიცდა „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010040.18.011.016786

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257

2023 წლის 13 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №420 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №6); „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017758

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №423 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2); „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №6) ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017759

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 2 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №437 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და დროებით შემოტანის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №11) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017760

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge